ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში
2017

კვლევაზე მუშაობდნენ:

ლევან ავალიშვილი
გიორგი კლდიაშვილი
ნინო მერებაშვილი
გოგა თუშურაშვილი
თამარ იაკობიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
ა. გრიბოედოვის ქ. № 3
საქართველო, თბილისი, 0108
ტელ: + 995 32 2 92 15 14
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-მისამართი: www.idfi .ge

შინაარსი

წინასიტყვაობა **3**

შეფასების მეთოდოლოგია **3**

საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა 2010-2017 წლებში **4**

2010-2017 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა 9

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2017 წელს **10**

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია 11

2017 წელს მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა **13**

ყველაზე დახურული ინფორმაცია 2017 წელს 15

საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები 16

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი 2017 წელს **17**

ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები 18

არაანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები 20

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით 22

ცენტრალური საჯარო დაწესებულებები 22

საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები 25

რეგიონული ორგანოები - მერია, გამგეობა, საკრებულო და გუბერნატორის ადმინისტრაცია 27

IDFI-ის სასამართლო პრაქტიკა - 2017 წელი **28**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - ელ.ფოსტით განხორციელებული მიმოწერა 29

სსიპ შემოსავლების სამსახური - თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შემოწმების შესახებ ინფორმაცია 30

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - ადმინისტრაციული ხარჯები 31

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში შემავალი 10 სსიპ 32

წინასიტყვაობა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) 2010 წლიდან ახორციელებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგს საქართველოში. წლების განმავლობაში IDFI-ის მიერ წარმოებულმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგმა დიდი როლი ითამაშა საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების განვითარებაში, ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების დადგენაში, საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი მექანიზმების შემუშავებაში, საქართველოში საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და ღია მმართველობის განვითარებაში.

წინამდებარე ანგარიშში წარმოგიდგენთ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის შეფასებას 2017 წლის მონაცემებით და ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით IDFI-ის სტრატეგიული სამართალწარმოების პრაქტიკას, ისევე როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემის ტენდენციების ანალიზს 2010-2017 წლებში.

შეფასების მეთოდოლოგია

ინსტიტუტი მიღებულ პასუხებს და საჯარო დაწესებულებების ქმედებებს შემდეგი კატეგორიებით აფასებდა:

- **სრულყოფილი პასუხი** - მოთხოვნის პასუხად მიღებული ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს განცხადებაზე ამომწურავ პასუხს;
- **არასრულყოფილი პასუხი** - განცხადების პასუხად მიღებული გარკვეული ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს მოთხოვნილ საკითხს;
- **უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე** - საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარი, შესაბამისი დასაბუთებით, რომელიც ინტიტუტის შეხედულებით არ არის მისაღები;
- **უპასუხო** - საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული უმოქმედობა, რაც გამოიხატა ინფორმაციის მოწოდებისგან თავის არიდებაში. აღნიშნული, სამართლებრივად გათანაბრებულია უართან, მაგრამ IDFI განცალკევებულად აწარმოებს მსგავსი შემთხვევების სტატისტიკას;
- **დაწესებულებას არ აქვს ინფორმაცია /კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებია** - საჯარო დაწესებულების განმარტება, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი მასთან არ ინახება, ინსტიტუტის მოთხოვნა გადამისამართდა სხვა დაწესებულებაში, ან უწყების მიერ არ განხორციელებულა შესაბამისი ქმედება.

საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა 2010-2017 წლებში

IDFI-ს მიერ 2010-2017 წლებში განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, საჯარო დაწესებულებებში სულ გაიგზავნა **45 310** საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადება, საიდანაც პასუხი მიღებულია **37 511** მოთხოვნაზე.

IDFI-ს მიერ 8 წლის განმავლობაში წარმოებული სტატისტიკის მიხედვით გაგზავნილ მოთხოვნებსა და მიღებულ პასუხებს შორის არსებული პროცენტული თანაფარდობის დინამიკა ხასიათდებოდა ხშირი ცვალებადობით. კერძოდ, 2010 წელს გაგზავნილ მოთხოვნების მხოლოდ 44%-ის შემთხვევაში იქნა მიღებული პასუხი. 2011 წელს ეს მაჩვენებელი 76%-მდე გაიზარდა, ხოლო შემდგომ წელს გაცემული პასუხების მაჩვენებელი 68%-მდე შემცირდა.

2010-2017 წლებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე **გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (90%) 2013 წელს ფიქსირდება**. 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 82%-მდე შემცირდა, 2015 წელს - 86%, ხოლო 2016 წელს - 85%. 2017 წელს მიღებული პასუხების რაოდენობა გარკვეულწილად გაიზარდა და 88% შეადგინა.



წელი	საჯარო დაწესებულება	გაგზავნილი მოთხოვნები	მიღებული პასუხები
2010	21	540	238
2011	154	2740	2099
2012	229	5072	3449
2013	224	5625	5049
2014	308	7878	6481
2015	307	8297	7122
2016	294	7430	6291
2017	289	7728	6 782



2010-2017 წლებში საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (79%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (12%) 2013 წელს ფიქსირდება. 2014 წელს ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუარესდა (სრულყოფილი პასუხი - 66%, უპასუხო - 26%), თუმცა მომდევნო წლებში კვლავ დადებითი ტენდენციები შეინიშნება და 2017 წელს სრულყოფილი პასუხები 76%-მდე გაიზარდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 15%-მდე შემცირდა.

2013 წლის შემდეგ არასრულყოფილი პასუხების და უარის შემთხვევების პროცენტულ მაჩვენებლებში მნიშნელოვანი ცვლილებები არ შეიმჩნევა. კერძოდ, არასრულყოფილი პასუხების მაჩვენებელი 6-8%-ის ფარგლებში, ხოლო უარის შემთხვევები 0-2%-ის ფარგლებში მერყეობს.

ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებში ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ის პასუხები, სადაც ისინი იუწყებიან, რომ მათ ინფორმაცია არ გააჩნიათ, ან კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებიათ.



2010-2017 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განსხვავებული ტენდენციები გამოიკვეთა საჯარო დაწესებულებების კატეგორიების მიხედვითაც.

სამინისტროების შემთხვევაში 2010-2012 წლებში განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში სრულყოფილად გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ 46%-ს შეადგენდა. 2013 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 88%-მდე გაიზარდა. თუმცა, მომდევნო წლებში კვლავ შემცირდა - 2014 წელს 76%-მდე, ხოლო 2015 წელს 75%-მდე. მომდევნო წლებში კვლავ დადებითი ტენდენცია ფიქსირდება და 2017 წელს სრულყოფილი პასუხების მაჩვენებელი 83%-ს შეადგენს.



2011-2017 წლებში სამინისტროების მსგავსად, მათ დაქვემდებარებულ უწყებებში (სსიპ და საქვეუწყებო დაწესებულება) სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი (86%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (5%) ფიქსირდება. მომდევნო წლებში უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2015 წელს 30%-ს მიაღწია. აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წელს განახევრდა (15%), თუმცა ის 2013 წლის საუკეთესო მაჩვენებელს კვლავ სამჯერ აღემატება.



2011-2017 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან სრულყოფილად მიღებული პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2016 წელს დაფიქსირდა - 74%. სამწუხაროდ, ეს მაჩვენებელი 2017 წელს 3%-ით შემცირდა. სრულყოფილი პასუხების შემცირების ხარჯზე, 2017 წელს წინა წელთან შედარებით უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 1%-ით, ხოლო არასრულყოფილი პასუხები 2%-ით გაიზარდა.



2010-2017 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ. ამავე დროს, თუ ინფორმაცია მოითხოვს დამუშავებას, საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს 10 დღიანი ვადა. იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტის მიერ 2010-2017 წლებში ხშირ შემთხვევაში მოთხოვნილი იყო დიდი მოცულობის ინფორმაცია, სტატისტიკის წარმოებისთვის ვადის დაცვად მიჩნეულ იქნა ათი სამუშაო დღე, მიუხედავად იმ ფაქტისა დაწესებულებამ მოითხოვა თუ არა 10 დღიანი ვადა ინფორმაციის გასაცემად.

2010-2017 წლებში განხორციელებული მონიტორინგის მიხედვით პროცენტულად ყველაზე მეტი პასუხი (75%) 10 დღიანი ვადის დაცვით ინსტიტუტისათვის მოწოდებულია 2015 წელს. 10 დღიანი ვადის დაცვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (22%) დაფიქსირდა 2010 წელს. **2017 წელს წინა წლებთან შედარებით ვადების დაცვის მაჩვენებელი 10%-ით გაუმჯობესდა და 66% შეადგინა.**



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2017 წელს

2017 წელს საქართველოს საჯარო დაწესებულებებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკა, IDFI-ის მიერ, გაანალიზებულია საქართველოს **289 საჯარო დაწესებულებისათვის** გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების მიხედვით. დაწესებულებები, სადაც ჩვენს მიერ გაიგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები, შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- **28** ცენტრალური საჯარო დაწესებულება (პარლამენტი, პრეზიდენტის და მთავრობის ადმინისტრაცია, სამინისტროები, აჭარის ა/რ-ის მთავრობა და სამინისტროები);
- **71** სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ -ი და საქვეუწყებო დაწესებულება;
- **30** დამოუკიდებელი ორგანო (დამოუკიდებელი სსიპ-ები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა);
- **142** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანო (მერია, გამგეობა, საკრებულო);
- **9** გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- **9** სხვა საჯარო დაწესებულება (5 სასამართლო, 2 ააიპ და 2 სახელმწიფო შპს).

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

2017 წელს IDFI-იმ 289 საჯარო დაწესებულებას სულ გაუგზავნა 7 728 მოთხოვნა. სტანდარტული შინაარსის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის კითხვების შედგენისას, IDFI-ის მიერ გათვალისწინებული იქნა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით განსაზღვრული და პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც მთელ რიგ დაწესებულებებს განთავსებული აქვთ საკუთარ ვებ-გვერდებზე.[1]

IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებისათვის გაგზავნილი სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები ძირითადად, დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული ხარჯების განკარგვასთან, საკადრო უზრუნველყოფასთან, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობასთან და საჯარო მმართველობის სხვა საკითხებთან.

2017 წელს IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი სტანდარტული მოთხოვნები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- **ავტომობილების შესყიდვა;**
- **სახელმწიფო ავტოპარკი და მათზე გამოწერილი ჯარიმები;**
- **სარეკლამო ხარჯები;**
- **პრემიები;**
- **სახელფასო დანამატები;**
- **სამივლინებო ხარჯები;**
- **როუმინგის ხარჯები ;**
- **წარმომადგენლობითი ხარჯები;**
- **სატელეფონო საუბრებზე ყოველთვიური ლიმიტები;**
- **საწვავის მოხმარების ხარჯები და ყოველთვიური ლიმიტები;**

[1]ბოლო წლებში, საქართველოს კანონმდებლობაში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მხრივ, რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა. კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გამტკიცდა ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტრონული ფორმით გამოთხოვის ცნებები. შესაბამისად, საჯარო დაწესებულებებს დაეკისრათ ვალდებულება დადგენილი წესით საკუთარ ელექტრონულ რესურსზე გამოაქვეყნონ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაცია. მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ. აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არეგულირებს ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ჩამონათვალი, გამოქვეყნების ვადები, განსაზღვრულია ის საჯარო დაწესებულებები, რომლებზეც ვრცელდება მოცემული ვალდებულება და სხვა.

- **თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაწეული ხარჯები;**
- **შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება;**
- **შტატით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა;**
- **განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა განთავისუფლების მიზეზების მიხედვით;**
- **შრომითი კატეგორიის დავებით დაკისრებული თანხები;**
- **რეგრესის წესით მოთხოვნილი და ანაზღაურებული ზიანის ოდენობა;**
- **თანამდებობის პირებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტები და მოხსენებითი ბარათები;**
- **საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში დასაქმებულები და მათი შრომის ანაზღაურება.**

ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის დამატებით გაგზავნილი იქნა აგრეთვე შემდეგი სტანდარტული მოთხოვნები:

- **მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების და შპს-ების რაოდენობა;**
- **ა(ა)იპ-ების და შპს-ების ფინანსური და საქმიანობის ანგარიშები;**
- **საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშები.**

სტანდარტული მოთხოვნების გარდა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებას დამატებით გაეგზავნათ მოთხოვნები ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც უშუალოდ მათი საქმიანობის სფეროს შეეხებოდა, ასევე ის შეკითხვები რომლებსაც ინსტიტუტს მოქალაქეები და დაინტერესებულ პირები აწვდიდნენ. ასეთი არასტანდარტული შეკითხვების მაგალითებია: დევნილი ოჯახებისათვის გაწეული დახმარებების შესახებ ინფორმაცია, საჯარო დაწესებულებებში შესული მამხილებელი განცხადებების შესახებ ინფორმაცია, დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები, საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი ჯარიმები, სპორტული ფედერაციებისათვის გამოყოფილი დაფინანსებები და სხვა.

2017 წელს მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა

IDFI-იმ 289 საჯარო დაწესებულებისათვის გაგზავნილ 7 728 მოთხოვნაზე, სრულყოფილი პასუხი მიიღო 4 604 განცხადებაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 483 მოთხოვნაზე, უარს ადგილი ჰქონდა 51 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 946 მოთხოვნა, ხოლო 1 644 შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება, ან არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებში და ასევე საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცენტული მაჩვენებლების შედგენისას, ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული იმგვარი პასუხები, სადაც ისინი იუწყებიან, რომ მათ ინფორმაცია არ გააჩნიათ ან კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებიათ. შესაბამისად, 289 უწყების შემთხვევაში, მონაცემები წარმოდგენილია ინსტიტუტის მიერ გაგზავნილ 6 084 განცხადებაზე მიღებული პასუხების მიხედვით.



ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებიდან, დაწესებულებების კატეგორიების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მეტი მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა. აღნიშნულ უწყებებს, 2017 წელს, სულ გაეგზავნათ 2 800 მოთხოვნა, საიდანაც 559 შეკითხვა უპასუხოდ იქნა დატოვებული.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევების ყველაზე მეტი შემთხვევა მოდის დამოუკიდებელი ორგანოების შემთხვევაში (35 უარი).



ყველაზე დახურული ინფორმაცია 2017 წელს

წინა წლის მსგავსად, 2017 წელს საჯარო დაწესებულებების ყველაზე დიდმა ნაწილმა (26%) უპასუხოდ დატოვა **თანამდებობის პირებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების, შესაბამისი დანართებისა და მოხსენებითი ბარათების ასლების შესახებ ინსტიტუტის მოთხოვნა.**

რიგით მეორე, ყველაზე დახურულ ინფორმაციის კატეგორიას, წარმოადგენს საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში (რომელიც ითვალისწინებდა ადმინისტრაციული ხარჯების 10%-ით შემცირებას) საჯარო დაწესებულებების მიერ 2017 წლის ბიუჯეტის გეგმით შემცირებული ხარჯების ჩამონათვალი, შესაბამისი ეკონომიის მითითებით. ეს მოთხოვნა, საჯარო დაწესებულებების 23%-მა დატოვა უპასუხოდ.

2017 წელს საჯარო დაწესებულებებისათვის პრობლემატური აღმოჩნდა აგრეთვე, ინსტიტუტის მოთხოვნები საწვავის მოხმარებაზე დაწესებული ყოველთვიური ლიმიტების, უწყების თანამშრომლებისთვის რეგრესის წესით მოთხოვნილი და ანაზღაურებული ზიანის ოდენობების და ბიუჯეტის გეგმით პრემიებისა და სახელფასო დანამატებისათვის განსაზღვრული თანხების შესახებ.



საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები

2017 წელს საჯარო დაწესებულებისათვის გაგზავნილი 7 728 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნიდან, IDFI-იმ 5 102 შემთხვევაში ინფორმაცია მიიღო 10 დღიანი ვადის დაცვით. ამავე დროს, უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ჩათვლით, 2 626 შემთხვევაში დაირღვა კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადა.



თუ დავუშვებთ, რომ საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაცემულია იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს იგი მოთხოვნიდან 3 დღეში მიეწოდა, მაშინ ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მიერ დაუყოვნებლივ გაცემულმა მოთხოვნების რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 695. განცხადებების რაოდენობა რომელზეც მოითხოვეს 10 დღიანი ვადა და აღნიშნულ ვადაში უზრუნველყვეს ინფორმაციის მოწოდება, შეადგენს 1932-ს. საჯარო დაწესებულებების მიერ 464 შემთხვევაში მოთხოვნილი იქნა 10 დღიანი ვადა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ან უპასუხოდ იქნა დატოვებული, ან მოწოდებულია ვადების დარღვევით. 2 473 შემთხვევაში, არ არის მოთხოვნილი 10 დღიანი ვადა, თუმცა ინფორმაცია მოწოდებულია 4 დან 10 დღემდე პერიოდში, ხოლო 2 164 შემთხვევაში 10 დღიანი ვადის მოთხოვნის გარეშეა დარღვეული კანონმდებლობით დადგენილი ვადები.



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი 2017 წელს

2017 წელს წარმოებული სტატისტიკური მონაცემები საშუალებას გვაძლევს წარმოგიდგინოთ საჯარო დაწესებულებათა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი.

საჯარო დაწესებულებათა აღნიშნული რეიტინგების შედგენისას გამოყენებულ იქნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეფასების მაჩვენებლები, რომლებიც მიღებულია ქვემოთ მოცემული კოეფიციენტების მიხედვით:

მიღებული ინფორმაციის შეფასების კოეფიციენტები	
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად 10 დღიანი ვადის დაცვით	**1**
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად 10 დღიანი ვადის დარღვევით	**0,99**
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად 10 დღიანი ვადის დაცვით	**0,5**
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად 10 დღიანი ვადის დარღვევით	**0,49**
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ ან შეტყობინების გარეშე ერთი თვის დაგვიანებით	**0,6**
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად, ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ ან შეტყობინების გარეშე ერთი თვის დაგვიანებით	**0,3**
დაუსაბუთებელი უარი ინფორმაციის გაცემაზე	**0**
მოთხოვნა დატოვებულია უპასუხოდ	**0**

ანალოგიური მეთოდოლოგიით შეფასებული იქნა საჯარო დაწესებულებებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2012-2016 წლების ფარგლებშიც, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ ტენდენციები კონკრეტული დაწესებულებების მაგალითზე.

ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები

ინსტიტუტის მიერ განხორციელებულმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგმა აჩვენა, რომ 2017 წელს საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით და კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადის დაცვით გასცა 39-მა საჯარო დაწესებულებამ:

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები					
	საჯარო დაწესებულება	**მოთხოვნების რაოდენობა**	**სრულყოფილი**	**10 დღიანი ვადის დაცვა**	**ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**
1	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	39	39	39	100%
2	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	28	28	28	100%
3	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	27	27	27	100%
4	ქალაქ რუსთავის მერია	25	25	25	100%
5	სახალხო დამცველის აპარატი	25	25	25	100%
6	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	25	25	25	100%
7	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	25	25	25	100%
8	ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი	24	24	24	100%
9	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	23	23	23	100%
10	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	23	23	23	100%
11	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	23	23	23	100%
12	ქალაქ ქუთაისის მერია	23	23	23	100%

13	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	23	23	23	100%
14	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	23	23	23	100%
15	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	22	22	22	100%
16	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	22	22	22	100%
17	ეროვნული საშენი მეურნეობა	22	22	22	100%
18	იურიდიული დახმარების სამსახური	22	22	22	100%
19	ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი	22	22	22	100%
20	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი	21	21	21	100%
21	წყალტუბოს გამგეობა	21	21	21	100%
22	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	21	21	21	100%
23	ქალაქ ქუთაისის საკრებულო	20	20	20	100%
24	ენერგეტიკის სამინისტრო	20	20	20	100%
25	აჭარის ა/რ -ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	20	20	20	100%
26	ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი	19	19	19	100%
27	თვითმმართველი თემი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	19	19	19	100%
28	სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	18	18	18	100%
29	დმანისის გამგეობა	17	17	17	100%
30	ქალაქ ფოთის საკრებულო	17	17	17	100%
31	თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	17	17	17	100%
32	სენაკის საკრებულო	16	16	16	100%
33	ქალაქ ზუგდიდის საკრებულო	16	16	16	100%
34	გურჯაანის საკრებულო	15	15	15	100%
35	ყვარლის საკრებულო	15	15	15	100%
36	თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	15	15	15	100%

37	ხელვაჩაურის საკრებულო	14	14	14	100%
38	თეთრიწყაროს საკრებულო	13	13	13	100%
39	ქარელის საკრებულო	13	13	13	100%

არაანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები

2011 წლიდან IDFI ტრადიციულად ასახელებს მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებას. 2017 წელს, მონიტორინგის ფარგლებში ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად გამოვლინდა შემოსავლების სამსახური. 2017 წელს შემოსავლების სამსახურს გაეგზავნა 29 მოთხოვნა, საიდანაც პასუხი ინსტიტუტს სამწუხაროდ, არც ერთ მოთხოვნაზე არ მიუღია. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 2013 წლის შემდეგ, ყოველწლიურად მნიშვნელოვნად უარესდება და 2016 წლიდან 0%-ს უტოლდება.

2017 წელს შემოსავლების სამსახურის ყველაზე დახურულ უწყებად დასახელების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს ასევე წარმოადგენს, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურებული პროცესი. მიუხედავად, 2017 წლის 7 დეკემბერს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა სსიპ შემოსავლების სამსახურს დღეის მდგომარეობით არ გაუცია IDFI-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულება 2017

სსიპ - შემოსავლების სამსახური



2017 წელს შემოსავლების სამსახურის გარდა, საქართველოს 289 ადმინისტრაციულ ორგანოს შორის კიდევ 13 დაწესებულება აღმოჩნდა ისეთი, ვინც სრულად უგულებელყო კანონით მათზე დაკისრებული ვალდებულება და უპასუხოდ დატოვა ინსტიტუტის ყველა განცხადება, საჯარო ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით. კერძოდ, IDFI-ის მიერ გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს **შემდეგმა საჯარო დაწესებულებებმა:**

2017 წლის ყველაზე არა-ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები

		მოთხოვნა	უპასუხო/ უარი	შედეგი
1	შემოსავლების სამსახური	29	29	0%
2	სავაჭრო სამრეწველო პალატა	29	29	0%
3	ასპინძის გამგეობა	28	28	0%
4	ბოლნისის გამგეობა	28	28	0%
5	ყაზბეგის გამგეობა	28	28	0%
6	წალენჯიხის გამგეობა	28	28	0%
7	ჭიათურის გამგეობა	28	28	0%
8	ქალაქ თელავის მერია	28	28	0%
9	დაზვერვის სამსახური	26	26	0%
10	საკანონმდებლო მაცნე	25	25	0%

11	ვანის საკრებულო	22	22	0%
12	მარნეულის საკრებულო	22	22	0%
13	შუახევის საკრებულო	22	22	0%
14	ბოლნისის საკრებულო	22	22	0%

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით

ცენტრალური საჯარო დაწესებულებები

2017 წელს განხორციელებული კვლევის პერიოდში საქართველოს ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის IDFI-ის ყველა მოთხოვნაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით სრულყოფილი პასუხი გასცა **გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ენერგეტიკის სამინისტრომ და აჭარის ა/რ - ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ**.

საქართველოს 29 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას შორის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მიიღეს **ფინანსთა სამინისტრომ - 12,09%, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ - 18,76% და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ (29,17%).**

ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის [illegible]	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	39	39	0	0	0	39	100%
2	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	28	28	0	0	0	28	100%
3	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	23	23	0	0	0	23	100%

4	ენერგეტიკის სამინისტრო	20	20	0	0	0	20	100%
5	აჭარის ა/რ -ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	20	20	0	0	0	20	100%
6	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	21	21	0	0	0	21	100%
7	პრეზიდენტის ადმინისტრაცია	30	30	0	0	0	6	99,20%
8	საგარეო საქმეთა სამინისტრო	31	31	0	0	0	0	99%
9	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	22	21	1	0	0	22	97,73%
10	აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	22	21	1	0	0	22	97,73%
11	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	35	33	2	0	0	35	97,14%
12	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	30	28	2	0	0	30	96,67%
13	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	21	19	2	0	0	21	95,24%
14	აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	21	19	2	0	0	21	95,24%
15	აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	20	18	2	0	0	20	95%
16	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	25	23	1	1	0	25	94%
17	საქართველოს პარლამენტის აპარატი	25	23	1	0	1	24	94%
18	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	23	21	1	0	1	0	92,50%
19	თავდაცვის სამინისტრო	23	19	4	0	0	0	90,30%
20	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	27	22	2	0	3	24	85,19%
21	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	30	24	2	4	0	30	83,30%
22	შინაგან საქმეთა სამინისტრო	67	48	11	0	8	15	79,19%
23	იუსტიციის სამინისტრო*	41	36	5	0	0	0	74,85%
24	მთავრობის ადმინისტრაცია*	36	16	3	0	17	0	29,17%
25	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	37	6	2	0	29	2	18,76%
26	ფინანსთა სამინისტრო	33	4	0	0	29	3	12,09%

ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკში, მოცემულია 2017 წელს ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცენტული მაჩვენებლის ცვლილება განვლილ წლებთან შედარებით. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეგრესის თვალსაზრისით გამორჩეულია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო რომელმაც 2016 წლის 81,9%*-იანი მაჩვენებელი 2017 წელს 69,8%-ით გააუარესა და 12,1% შეადგინა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემთხვევაში მაჩვენებელი გაუარესდა 35,7%-ით.

2017 წელს გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა 2016 წელს ყველაზე დახურულ უწყებად დასახელებული იუსტიციის სამინისტროს შემთხვევაში, რომელმაც 2016 წლის 0%-იანი მაჩვენებელი 74,9%-ით გააუმჯობესა. 2017 წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის გაუმჯობესებით გამორჩეულია აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო + 46,2%.

ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ტენდენციები								
	საჯარო დაწესებულება	2017	ცვლილება	2016	ცვლილება	2015	ცვლილება	2014
1	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	100%	**0%**	100%	**0%**	100%	**0%**	100%
2	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	100%	**0%**	100%	**+18%**	82%	**-10%**	92%
3	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	100%	**0%**	100%	**0%**	100%	**0%**	100%
4	ენერგეტიკის სამინისტრო	100%	**+7,5%**	92,5%	**-5,1%**	97,6%	**+13,3%**	84,3%
5	აჭარის ა/რ -ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	100%	**0%**	100%	**0%**	100%	**+0,1%**	99,9%
6	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	100%	**+1%**	99%	**-1%**	100%	**+2,9%**	97,1%
7	პრეზიდენტის ადმინისტრაცია	99,2%	**+3,3%**	95,9%	**-0,6%**	96,5%	**+15,5%**	81%
8	საგარეო საქმეთა სამინისტრო	99%	**+5,4%**	93,6%	**-2%**	95,6%	**+12,1%**	83,5%
9	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	97,7%	**+5,5%**	92,2%	**-1,8%**	94%	**+4%**	90%
10	აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	97,7%	**-2,3%**	99%	**-1%**	100%	**0%**	100%
11	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	97,1%	**+2,7%**	94,4%	**-0,1%**	94,5%	**+20,5%**	74%
12	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	96,7%	**-3,3%**	100%	**0%**	100%	**0%**	100%
13	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	95,2%	**+3,3%**	91,9%	**-4,5%**	96,4%	**+15,3%**	81,1%

14	აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	95,2%	**+ 28,1%**	67,1%	**-32,9%**	100%	**+11,8%**	88,2%
15	აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	95%	**-2,5%**	97,5%	**-2,5%**	100%	**+6,3%**	93,7%
16	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	94%	**+13,2%**	80,8%	**+1,5%**	79,3%	**-2,5%**	81,8%
17	საქართველოს პარლამენტის აპარატი	94%	**-6%**	100%	**+12%**	88%	**-3,3%**	91,3%
18	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	92,5%	**-4,1%**	96,6%	**+5,3%**	91,3%	**+1,2%**	90,1%
19	თავდაცვის სამინისტრო	90,3%	**+11,4%**	78,9%	**+2,2%**	76,7%	**-8,4%**	85,1%
20	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	85,2%	**-2,3%**	87,5%	**+4,2%**	83,3%	**-12,7%**	96%
21	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	83,3%	**-16,7%**	100%	**0%**	100%	**+7,7%**	92,3%
22	შინაგან საქმეთა სამინისტრო	79,2%	**+46,2%**	33%	**-3,8%**	36,8%	**+10%**	26,8%
23	იუსტიციის სამინისტრო*	74,9%	**+74,9%**	0 %	**-30,5%**	30,5%	**-45,9%**	76,4%
24	მთავრობის ადმინისტრაცია*	29,2%	**+14,5**	14,7%	**-76,4%**	91,1%	**-74,8%**	98,1%
25	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	18,8%	**35,7%**	54,5%	**+43,7%**	10,8%	**-50,2%**	61%
26	ფინანსთა სამინისტრო	12,1%	**69,8%**	81,9%	**+27,7%**	54,2%	**+10,9%**	43,3%

საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები

2017 წელს განხორციელებული კვლევის შედეგების თანახმად, აღნიშნული ტიპის საჯარო დაწესებულებებს შორის (ამ კატეგორიაში თავმოყრილია როგორც სამინისტროებს დაქვემდებარებული, ასევე დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა (სულ 101 საჯარო დაწესებულება) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი 16–მა უწყებამ აჩვენა.

101 საჯარო დაწესებულებიდან, **4-მა უწყებამ** IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა.

სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულების რეიტინგის პირველი ათეული								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	27	27	0	0	0	27	100%
2	სახალხო დამცველის აპარატი	25	25	0	0	0	25	100%
3	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	25	25	0	0	0	25	100%
4	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	25	25	0	0	0	25	100%
5	საქპატენტი	24	24	0	0	0	24	100%
6	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	23	23	0	0	0	23	100%
7	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	23	23	0	0	0	23	100%
8	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	23	23	0	0	0	23	100%
9	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	23	23	0	0	0	23	100%
10	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	22	22	0	0	0	22	100%

ყველაზე არაანგარიშვალდებული სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	შემოსავლების სამსახური	29	0	0	0	29	0	0%
2	სავაჭრო სამრეწველო პალატა	29	0	0	0	29	0	0%
3	დაზვერვის სამსახური	26	0	0	26	0	26	0%
4	საკანონმდებლო მაცნე	25	0	0	0	25	0	0%
5	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	29	4	0	0	25	0	8,28%

რეგიონული ორგანოები - მერია, გამგეობა, საკრებულო და გუბერნატორის ადმინისტრაცია

151 რეგიონულ ორგანოს შორის 2017 წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აჩვენა 17-მა საჯარო დაწესებულებამ, ხოლო 10-მა უწყებამ 2017 წელს ინსტიტუტის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა.

რეგიონული ორგანოების რეიტინგის პირველი ათეული								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	ქალაქ რუსთავის მერია	25	25	0	0	0	25	100%
2	ქალაქ ქუთაისის მერია	23	23	0	0	0	23	100%
3	წყალტუბოს გამგეობა	21	21	0	0	0	21	100%
4	ქალაქ ქუთაისის საკრებულო	20	20	0	0	0	20	100%
5	თვითმმართველი თემი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	19	19	0	0	0	19	100%
6	სამცხე ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	18	18	0	0	0	18	100%
7	დმანისის გამგეობა	17	17	0	0	0	17	100%
8	ქალაქ ფოთის საკრებულო	17	17	0	0	0	17	100%
9	თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	17	17	0	0	0	17	100%
10	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო	16	16	0	0	0	16	100%
ყველაზე არა ანგარიშვალდებული რეგიონული ორგანოები								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	ასპინძის გამგეობა	28	0	0	0	28	0	0%
2	ბოლნისის გამგეობა	28	0	0	0	28	0	0%
3	ყაზბეგის გამგეობა	28	0	0	0	28	0	0%
4	წალენჯიხის გამგეობა	28	0	0	0	28	0	0%
5	ჭიათურის გამგეობა	28	0	0	0	28	0	0%
6	ქალაქ თელავის მერია	28	0	0	0	28	0	0%
7	ვანის საკრებულო	22	0	0	0	22	0	0%
8	მარნეულის საკრებულო	22	0	0	0	22	0	0%
9	შუახევის საკრებულო	22	0	0	0	22	0	0%
10	ბოლნისის საკრებულო	22	0	0	0	22	0	0%



IDFI-ის სასამართლო პრაქტიკა - 2017 წელი

2017 წლის განმავლობაში IDFI დავებს აწარმოებდა შემდეგი საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ შემოსავლების სამსახური, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში შემავალი 10 საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

მოცემული დავების საგანს წარმოადგენდა ისეთი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა როგორიც არის: ოფიციალური ელ.ფოსტის საშუალებით სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული მიმოწერა, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შემოწმების შესახებ მონაცემები და სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ ინფორმაცია (მაგ.: თანამდებობის პირებზე, საშტატო და შტატგარეშე თანამშრომელებზე გაცემული შრომის ანაზღაურება, პრემიები და დანამატები, დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა, უწყებათა საშტატო ნუსხები, მივლინებებზე, შესყიდულ ქონებასა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები და სხვა.)

მოცემული თავი მოიცავს დავების ფაქტობრივ გარემოებათა მოკლე აღწერებს და განიხილავს მოცემულ საქმეებზე 2017 წლის განმავლობაში მიღწეულ შედეგებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - ელ.ფოსტით განხორციელებული მიმოწერა

IDFI-იმ საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებით იუსტიციის სამინისტროს 2015 წლის 10 მარტს მიმართა. **IDFI-ის მოთხოვნას წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის (მინისტრის) ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურეობრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გაცემა.**

იუსტიციის სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადება, ისევე როგორც შესაბამისი ადმინისტრაციული საჩივარი. საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით IDFI-იმ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით[2] არ დააკმაყოფილდა IDFI-ის სარჩელი, რის შემდეგაც IDFI-მ გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ საკუთარი განჩინება სრულად დააფუძნა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიციას და 2016 წლის 27 დეკემბერის განჩინებით უცვლელად დატოვა იგი.[3]

2017 წლის 14 მარტს IDFI-იმ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. უზენაესმა სასამართლომ პირველად იმსჯელა მოცემულ საკითხზე და 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით[4] ინფორმაციის საჯაროობის სასარგებლოდ გადაწყვიტა პრაქტიკაში არსებული დავა ელ.ფოსტით განხორციელებული მიმოწერის საჯარო ინფორმაციის ცნების ქვეშ მოქცევის შესახებ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იუსტიციის სამინისტრომ მიიჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწვეტილება სამოტივაციო ნაწილში ასახული სასამართლოს მსჯელობის გათვალისწინებით იყო გაურკვეველი და ბუნდოვანი. 2017 წლის 21 დეკემბერს სამინისტრომ შესაბამისი განცხადებით[5] მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გადაწყვეტილების განმარტება.

უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ იუსტიციის სამინისტროს წარმოდგენილ განცხადებაში დასმული საკითხები სცილდებოდა გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, მოცემული დავა ეხებოდა კონკრეტულად სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საჯარო ინფორმაციას და მას სამინისტროსთვის შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი ჰქონდა სწორედ სასარჩელო მოთხოვნის მოცულობისა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით განსაზღვრულ ფარგლებში,

[2] https://idfi.ge/public/upload/IDFI/IDFI/TCC%20IDFI%20v%20MoJ.pdf
[3] https://idfi.ge/public/upload/IDFI/IDFI/IDFI%20vs%20MoJ%20Appelate%20Court%20Decision.pdf
[4] https://idfi.ge/public/upload/IDFI/IDFI/IDFI%20vs%20Moj%20supreme%20court%20decision.pdf
[5] https://drive.google.com/file/d/1A1i5q8fEKYiH53hCg15TdtROZlmNaTtP/view

რომელიც ნათლად მიუთითებდა იუსტიციის სამინისტროს ვალდებულებაზე გაეცა IDFI-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება პრეცედენტული მნიშვნელობის მატარებელია. გადაწყვეტილებით, ხაზგასმით განიმარტა, რომ ღია საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს არამარტო გამარტივებულ შესყიდვებთან დაკავშირებული, არამედ ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებასთან არის დაკავშირებული და გაგზავნილი ან მიღებული იქნა სამსახურებრივი ელ.ფოსტის საშუალებით.

სსიპ შემოსავლების სამსახური - თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შემოწმების შესახებ ინფორმაცია

2015 წლის 16 აპრილს IDFI-მ წერილით მიმართა შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა ინფორმაცია **შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოში არსებული თითოეული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმების შესახებ, ხოლო** ასეთი შემოწმების განხორციელების შემთხვევაში შემოწმების ამსახველი დასკვნები ან/და ოქმები. უწყებამ უარი განაცხადა ამ ინფორმაციის გაცემაზე და აღნიშნა, რომ ის წარმოადგენდა საგადასახადო საიდუმლოებას.

საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, IDFI-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა.[6] შემოსავლების სამსახურმა არ გაიზიარა სასამართლოს არგუმენტაცია და გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ მსგავსად პირველი ინსტანციისა, განმარტა, რომ თიზის შემოწმების შესახებ ინფორმაცია არ იყო დაცული საგადასახადო საიდუმლოებით.[7] სასამართლოს გადაწყვეტილება კვლავაც გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურის მიერ და უწყებამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 7 დეკემბრის განჩინებით[8] დაუშვებლად იქნა ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი, შესაბამისად უწყებას დაეკისრა თიზის შემოწმების ამსახველი ოქმების გაცემა მოთხოვნილი სახით.

მოცემულ დავაზე სასამართლოს გადაწყვეტილება პრეცედენტული მნიშვნელობის მატარებელია, საგადასახადო საიდუმლოების ცნებისა და ფარგლების განსაზღვრის მხრივ. უზენაესმა

[6] https://idfi.ge/public/upload/Davit/Court%20Ruling%20Tax%20secret.pdf
[7] https://idfi.ge/public/upload/01Nino/Appelate%20Court%20IDFI%20v%20Revenue%20Service%20%20Free%20Industrial%20Zones.pdf
[8] https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/rule_of_law/appeal.pdf

სასამართლომ განმარტა, რომ დაუშვებელია საგადასახადო ორგანოში დაცული ნებისმიერი ინფორმაცია ჩაითვალოს საგადასახადო საიდუმლოებად. უზენაესი სასამართლოს თანახმად თიზის ფიზიკური შემოწმების შესახებ მონაცემები არ წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოებას, რადგან აღნიშნული ინფორმაცია სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ არ ხორციელდება საგადასახადო შემოწმების ფარგლებში და დაუშვებელია მიჩნეულ იქნას საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის ნაწილად.

მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა სსიპ შემოსავლების სამსახურს დღეის მდგომარეობით არ გაუცია IDFI-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია. აღნიშნული წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის უხეშ დარღვევასა და სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - ადმინისტრაციული ხარჯები

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) 2015 წლის მარტიდან აწარმოებდა სასამართლო დავას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ. დავის საგანს წარმოადგენდა 2014 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაწეული სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ საჯარო ინფორმაცია. დავა წარმოებდა თავდაპირველად თბილისის საქალაქო, შემდგომ კი სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში. უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინებით საბოლოოდ ძალაში შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწვეტილება, რომლითაც სრულად იქნა დაკმაყოფილებული IDFI-ის სასარჩელო მოთხოვნა და ეკონომიკის სამინისტროს დაევალა ინფორმაციის გაცემა.

თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალში შესვლის შემდეგაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უარს აცხადებდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რის გამოც 2017 წლის 30 მაისს IDFI-მ იძულებითი აღსრულების შესახებ განცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს. შედეგად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2014 წელს გაწეული სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯის შესახებ ინფორმაციის მოპოვება IDFI-მ მხოლოდ 2017 წლის 16 ივნისს შეძლო.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში შემავალი 10 სსიპ

IDFI-ის მიერ მომზადებულ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 2016 წლის ანგარიშში[9] **იუსტიციის სამინისტრო და მის მმართველობის სფეროში შემავალი უწყებები დასახელდა ყველაზე დახურულ სისტემად საქართველოში, რადგან ყველა ხსენებულმა დაწესებულებამ უპასუხოდ დატოვა IDFI-ის მოთხოვნები საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ.** ინსტიტუტის მოთხოვნას წარმოადგენდა უწყებათა მიერ ისეთი საჯარო ინფორმაციის გაცემა, როგორიც არის თანამდებობის პირებზე, საშტატო და შტატგარეშე თანამშრომელებზე გაცემული შრომის ანაზღაურება, პრემიები და დანამატები, დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა, უწყებათა საშტატო ნუსხები, მივლინებებზე, შესყიდულ ქონებასა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები და სხვა.

საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით 2016 წლის 6 ოქტომბერს IDFI-მ განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს. საქმის შესწავლის პროცესში შესაბამისი მოთხოვნის მიუხედავად არც ერთმა უწყებამ არ მიაწოდა სახალხო დამცველის აპარატს განმარტება იმაზე, თუ რა იყო IDFI -ის მოთხოვნის უგულებელყოფის საფუძველი. IDFI-ის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის დეტალური შესწავლის შემდეგ სახალხო დამცველმა დაადგინა IDFI-ის უფლების დარღვევის ფაქტი[10] და 2017 წლის 31 იანვარს რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინისტრსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირთა ხელმძღვანელებს. ამასთან მოცემულ პირებს მიეთითათ მათ ვალდებულებაზე ეცნობებინათ სახალხო დამცველის აპარატისთვის რეკომენდაციასთან დაკავშირებით მიღებული ზომების შესახებ (ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული არ გულისხმობს რეკომენდაციის შესრულების ვალდებულებას).

იუსტიციის მინისტრმა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ხელმძღვანელებმა კვლავაც უპასუხოდ დატოვეს სახალხო დამცველის კორესპონდენცია. გამონაკლისს წარმოადგენდა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“, რომელმაც სახალხო დამცველს აცნობა რეკომენდაციის განხილვის შედეგები.

იქიდან გამომდინარე, რომ იუსტიციის მინისტრმა ისევე, როგორც სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი 10 საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელებმა დაარღვიეს მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება და არ აცნობეს სახალხო დამცველს რეკომენდაციის განხილვის შედეგები, სახალხო დამცველის მიერ თითოეულ თანამდებობის პირზე შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი. მოცემული ოქმები განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლომ და დაადასტურა მინისტრისა და 10 საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ ადმინისტრაციული

[9] https://idfi.ge/ge/2016-idfi-foi-report
[10] http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/saxalxo-damcvelma-saqartvelos-iusticiis-saministros-da-11-sadjaro-samartlis-iuridiul-pirs-sadjaro-informaciis-gacemis-rekomendaciit-mimarta.page

სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად ყველა პირი ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სასამართლომ გაათავისუფლა თანამდებობის პირები ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და შემოიფარგლა მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით. აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენდა, სასამართლო პროცესზე უწყებათა განცხადება, რომლითაც ისინი გამოთქვამდნენ მზაობას სახალხო დამცველისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია მისი რეკომენდაციის განხილვის შედეგების შესახებ.